***

მოგესალმებით ბატონებო და ქალბატონებო,

გამოფენის (თუ მუზეუმის) მასპინძლებო და სტუმრებო.

პირველ რიგში მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის და ქართული თანამედროვე ხელოვნებით დაინტერესებისთვის. მადლობას ვუხდით ყველა მონაწილეს, საინტერესო იდეების გაზიარებისთვის. (აქ სიტუაციის მიხედვით შეგიძლიათ შეცვალოთ ან დაამატოთ სამადლობელი)

თქვენ უკვე იცით, რომ საქართველოდან ჩამოვედით. ქვეყნიდან, სადაც ყოველი მოქალაქე ყოველდღიურად რამდენჯერმე მაინც ახსენებს სიტყვებს - რუსეთი, პუტინი, ოკუპაცია. რა ვუყოთ რუსეთს, რა ვუყოთ პუტინს, როდის იქნება მშვიდობა..

შეიძლებოდა საუბარი დაგვეწყო სხვა მადლობებითაც, გვესაუბრა ქვეყნებს შორის მეგობრობაზე, კულტურული და ეკონომიკური თანამშრომლობის მრავალწლიან ისტორიაზე, დიდებულ და მნიშვნელოვან დღეებზე წარსულიდან და აწმყოდან, მაგრამ სამწუხაროდ ეს ვერ მოხდება აქ და დღეს. ეს შესაძლოა მოხდეს მრავალი წლის შემდეგ, თუკი ასეთი ისტორია დაიწერება.

დღეს გიამბობთ იმ წარსულისა და აწმყოს შედეგებზე, რომელიც ზოგიერთის აზრით დახლქვეშ ნაყიდი ჯინსებით, ჩუმად მოსმენილი ჯაზით ანდა სულაც გორბაჩოვის გადადგომით დასრულდა, ხოლო 1917 წლის რევოულუციით დაიწყო. სინამდვილეში ამ ისტორიას არც დასაწყისის და მითუმეტეს არც დასასრულის თარიღი აქვს. ეს არ არის მხოლოდ საბჭოთა ისტორია. ამ ისტორიას აქვს ცნობიერება, რომელიც ბევრად ადრე იწყება, ახლაც გრძელდება და დასრულდება მაშინ, როცა ამ ცნობიერების ღირებულებათა სათავეში მოექცევა არა ხალხი, არა სამშობლო, არა რასა ან რელიგია, არამედ მხოლოდ ადამიანი, ინდივიდი, თითოეული მათგანი დამოუკიდებლად და არა კოლექტიურად.

ჩვენ სამწუხაროდ ჯერ კიდევ ვცხოვრობთ ისეთ დროში სადაც ძლიერი სახელმწიფოები, დიდი მთავრობები და ბიუროკრატია, ძალადობრივი პოლიტიკა, სახელმწიფოში არსებული რესურსების და მილიარდობით დოლარის ხელისუფლებების მიერ განკარგვა არც თუ ძალიან შემაშფოთებელ მოვლენად ითვლება. მშრომელი ადამიანებისთვის გადასახადების სახელით გამორთმეული

ფული ხელისუფალთა „თამაშებში“ იფლანგება და ხალხზე ზრუნვის მოტივით „პრავდება“. დიდ ქვეყნებში ეს დიდი მასშტაბებით ხდება, პატარებში პატარით, არსი და შედეგები კი ერთია - ადამიანი, როგორც საშუალება და არა მიზანი.

მეფეები მთავრობებმა ჩაანაცვლეს, თავად-აზნაურობა ჩინოვნიკებმა, სქემა კი იგივე დარჩა: ქვეყნის რესურსები ხელისუფალთ, ხარკი ხელისუფალთ, კანონი მათი, პოლიცია მათი, სასამართლო მათი.

თავისუფლება, რომელსაც ყველა თავისებურად იაზრებს, სინამდვილეში ნებისმიერი დროისა და რეალობისთვის ძალიან კონკრეტული რამ არის: ეს არის მაჩვენებელი იმისა, რამდენად დამოუკიდებლად განკარგავს თითოეული ადამიანი მის ცხოვრებას და რამდენად თავისუფალია ის საკუთარ არჩევანსა და ქმედებებში.

წარმოვიდგინოთ ჰორიზონტალური ხაზი, რომლის უკიდურესი მარცხენა წერტილი მონობაა, ხოლო მარჯვენა თავისუფლება. ნებისმიერი მოვლენა, რომელიც ადამიანის პირად სიცოცხლეს და საკუთრებას ეხება აუცილებლად ნახავს ამ ხაზზე ადგილს. თუკი თქვენ დაგაკავეს პრეზიდენტის გაშარჟებისთვის ეს თქვენი გამოხატვის თავისუფლების აკრძალვაა და თავისუფლების წერტილი გადაიწევს მარცხნივ; თუ მარიხუანის მოწევისთვის აღარ დაგსდევთ მილიცია, წერტილი გადაადგილდა მარჯვნივ; თუ მთავრობამ გადაწყვიტა გაზარდოს გადასახადები - თავისუფლება ისევ შემცირდა და წერტილი წავიდა მარცხნივ და ა.შ.

მსოფლიოს განვითარებისა და გამდიდრების ისტორია შრომის გაცვლის, გამოგონებებისა და აღმოჩენების ისტორიაა და არავითარ შემთხვევაში მთავრების. მთავრების ისტორია არის შეფერხების, ომების, ქონების განადგურებისა და მასობრივი სიკვდილიანობის ისტორია. და აი მას შემდეგაც კი, როცა მეფეები სანაგვეზე გავისტუმრეთ, საკუთარ მამულებს დავეპატრონეთ და შედარებით მშვიდად შევუდექით შრომას, მსოფლიოს დიდი ნაწილი ისევ გააბითურა ცენტრალური მართვის, რასების უპირატესობის და კოლექტიური ცხოვრების იდეებმა. თანაც ამჯერად, მეფეებისგან განსხვავებით მოსახლეობამ აირჩია ისინი და თავადვე გამოუთხარა ძირი საკუთარ თავისუფლებას. თუმცა მეოცე საუკუნეც დამთავრდა და დაიწყო ტექნოლოგიების, მაღალი კონკურენციის, საერთაშორისო ვაჭრობის და ადამიანების დამოუკიდებლობის ხანა.

უკვე იმდენი დრო გავიდა მას მერე, რაც იმპერიალისტური ცნობიერება წარსულს ჩაბარდა, რომ ჩვენი და ჩვენი შვილების თაობა მას მხოლოდ ისტორიის

სახელმძღვანელოებიდან თუ სწავლობს. თანამედროვე გონებისათვის რთულია იმის მიხვედრა, რა სარგებელი შეიძლება მოიტანოს ტერიტორიების დაპყრობამ საკუთარი მოქალაქეებისთვის წართმეული რესურსით. მაშინ, როცა ქვეყნის დიმდიდრეს და დაცულობას თავისუფალი ხალხი, ძლიერი ეკონომიკა, მოქნილი საერთაშორისო ვაჭრობა და პლანეტის მასშტაბით მოქალაქეების მარტივი გადაადგილება სჭირდება. ძლიერი ეკონოიკის მთავარი პირობა კი მცირე მთავრობა, დაბალი გადასახადები და ადამიანის საკუთრების ხელშეუხებლობაა.

ჩვენ ახლა მოსკოვში ვიმყოფებით, რუსეთის დედაქალაქში. ნამდვილად არ არის გასაკვირი თუ ორ კონტინენტზე გადაჭიმულ ასორმოცდაათი მილიონი მოსახლის მქონე ქვეყანამ ცოტა რამ იცის სამნახევარ მილიონიან საქართველოზე. ამ ცოტა ინფორმაციიდან კი ძირითადი ნაწილი ბანალურია და ტრადიციულ სამზარეულოსა თუ ცეკვა-სიმღერას ეხება, ნაწილი კი მცდარი. ორივეს თავისი მიზეზი აქვს. საბჭოთა კავშრში შემავალი ქვეყნები რეალურად სწორედ აქედან, მოსკოვიდან იმართებოდა. პარტიის სათავეში წყდებოდა მათი ბედი და მათი როლი ერთა მეგობრობაში. გადაწყდა, რომ ქართველებს აქვთ კარგი ხინკალი და ხაჭაპური, ცეკვა და სიმღერა, ბორჯომი და ღვინო. ეს არის და ეს. პოსტსაბჭოთა ქვეყნების მეხსიერებაში სწორედ ასე შემოვრჩით დღემდე. ახლაც კი, ნებმისერ თანამედროვე გადაცემასა თუ ინეტერნეტში განთავსებულ ვიდეოში, თუკი ვინმე საქართველოს ახსენებს, აუცილებლად გაისმება დოლგარმონის, ხალხური სიმღერის ან ბუბა კიკაბიძის ხმა, თითქოს მას მერე ქვეყანაში აღარაფერი მომხდარა. მეორე, მცდარი ინფორმაციის მიზეზი კი გაცილებით ღრმა და პრობლემურია და მას პროპაგანდა ჰქვია.

ეროვნული ბიბლიოთეკის ძველისძველ წიგნებში ქექვისას მისი დირექტორი უამრავ უცნაურ ნაშრომს გადააწყდა. ერთერთში, რომელიც ყველაზე დასამახსოვრებელი გამოდგა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გულდასმით ამტკიცებდა, რომ მიზეზი, რის გამოც აივ ინფექცია საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არ არსებობს კომუნიზმია. ეს ერთერთი მაგალითია იმ ათასობით ტყუილიდან, რომელსაც რეჟიმი საკუთარი მოქალაქეების თვალის ასახვევად იყენებდა. პუტინის ხელისუფლება ახლაც უამრავ ფულს ხარჯავს პროპაგანდისტული მედიასაშუალებების და ორგანიზაციების შესანახად. და არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით. როდესაც რომელიმე გზააბნეული კერძო ორგანიზაციის თავკაცი გამოჩნდება და საჯაროდ და დაჟინებით ამტკიცებს, რომ ევროპა და ამერიკა რყვნის

ადამიანებს, უბიძგებს მათ გეი სექსისკენ და ნარკოტიკებით თრობისკენ, ხოლო ქართველი ერის ხსნა ჩრდილოეთშია, მაშინვე ცხადი ხდება ამ ორგანიზაციის დაფინანსების წყარო: ეს თქვენი, რუსეთის მოქალაქეების ჯიბიდან წართმეული ფულია.

ამიტომ გიამბობთ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის მნიშვნელოვან დეტალებს უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში არა ისე, როგორც ეს პოლიტიკურ რეჟიმებს სურთ, არამედ ისე როგორც ეს ხალხმა გადაიტანა.

1783 წელს დადებული გეორგიევსკის ტრაქტატი უკანასკნელი იყო იმ შეთანხმებებიდან, რომელიც რუსეთთან ქართულმა სამეფოებმა ნებით, იძულების გარეშე გააფორმეს. მაშინ ცოტა თუ იფიქრებდა, რომ რუსეთი არათუ რომელიმე, არამედ არცერთ პუნქტს არ შეასრულებდა. შემდეგ ამას დაემატა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და პატრიარქის მოკვლა. სპარსეთის და თურქეთის გაუთავებელი მოგერიების შემდეგ ქვეყანა ნელნელა, მაგრამ მაინც მიიწევდა პროგრესისკენ. ახალი, თავისუფლების ერა თითქოს ახლოს იყო. ბატონ-ყმობა დამთავრდა. გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც წერდნენ წერილებსა სტატიებს ქვეყნის ბედსა და მომავალზე, წერა-კითხვას ასწავლიდნენ გლეხებს, თარგმნიდნენ ფრანგ და ინგლისელ ფილოსოფოსთა ნაშრომებს, ხსნიდნენ სკოლებსა და უნივერსიტეტებს. ბოლოს და ბოლოს საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა, დემოკრატიულად აირჩია მთავრობა და პარლამენტი, გაატარა მნიშვნელოვანი რეფორმები ქვეყანაში და კურსი დასავლეთისკენ აიღო. ეს მოხდა 1918-1920 წლებში. ვინ წარმოიდგენდა მაშინ, რამხელა ჯოჯოხეთი ელოდათ ქვეყნებს მთელი საუკუნე, რომელსაც ასე იმედით უყურებდნენ.

საქართველოში რუსეთის შემოსვლის ყოველი ფაქტი გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ერთმანეთს. თითქოს ქვეყანაში ვინმეს ჩაგრავენ და რუსული ჯარი კონფლიქტის შესაჩერებლად მოდის, როგორც მშვიდობის მტრედი, როგორც „დიდი ძმა“. მაშინაც ასე მოხდა. საქართველო მზად არ იყო წინააღმდეგობისთვის. ვერც 1920 წლის შეთანხმებამ გვიშველა, რომლის მიხედვითაც საქართველოს ტერიტორები ხელშეუხებელი და საერთაშორისოდ აღიარებული იყო. უნდა ითქვას სიმართლე - რუსეთისთვის ხელშეკრულებებს ყოველთვის იმდენივე ჰქონდა ფასი, რამდენიც იმ ქაღალდს, სადაც ისინი ეწერა. საბოლოოდ 1921 წლის 25 თებერვალს წითელი არმია საქართველოში შემოვიდა. ბრძოლა მალევე დასრულდა. დემოკრატიული რესპუბლიკის წევრებს ან დახვრეტა ელოდათ, ან სიცივეში გადასახლება, ამიტომ

ემიგრაციაში წავიდნენ. ზოგს ახლაც ჰგონია, რომ საბჭოთა კავშირი ნებაყოფლობით შეიქმნა.

დაიწყო რეპრესიების, ქონების ჩამორთმევის, განათლებული და რეჟიმის მოწინააღმდეგე ხალხის დასჯის ხანა. ყოველი ცალკეული აჯანყება ხანმოკლე და უშედეგო იყო, ასობით ადამიანი იღუპებოდა. კოლექტივიზაციამ და ყველაფრის შიშმა ინდივიდუალიზმი და მრავალფეროვნება პირწმინდად დამარხა. საბოლოოდ კი სტალინმა არცერთი ადამიანი არ დატოვა ცოცხალი, რომელსაც ვინმე „მტრული კლასის“ წევრად მიიჩნევდა.

თქვენ და სხვა პოსტ-საბჭოთა ერებს გსმენიათ იმის შესახებ, რომ ქართველებს სადღეგრძელოების თქმა და სუფრაზე გრძელი მოლხენა უყვართ. სინამდვილეში სადღეგრძელოს მსოფლიოს ყველა კუთხეში ამბობენ, გრძელსა თუ მოკლეს. ის კი, რასაც თქვენ და მათ შორის ქართველი ხალხიც ეროვნულ ტრადიციად თვლის, სინამდვილეში საბჭოთა ფენომენია და არაფერი სხვა. ზოგადად ადამიანთა უმეტებოას რათქმაუნდა აინტერესებს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, მორალზე, მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე, ერთი სიტყვით პოლიტიკაზე საუბარი. ეს ხდება მათ შორის სუფრაზეც. საბჭოთა კავშირში არ მოიძებნებოდა ერთად აღებული ათი ადამიანი, საიდანაც მინიმუმ ერთი მაინც არ იქნებოდა ის, ვინც პარტიასთან დაასმენდა ადამიანებს. ამიტომ ვეღარავინ საუბრობდა გულწრფელად პატიმრობის ან დახვრეტის შიშით და ეს საუბრები ტრაფარეტულმა სადღეგრძელოებმა ჩაანცავლა. თქვენ გაგიმარჯოთ, თქვენ ოჯახს, შვილებს, მშობლებს, პარტიას, სტალინს, შრომას, მუშათა კლასს, სიყვარულს, სიხარულს, ძმობას. ადამიანთა ყოველი შეკრება ერთმანეთს გაჭრილი ვაშლივით დაემსგავსა. ასე დაემართა ხელოვნებასაც, - რომენებს, პოეზიას, სიმღერას. ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ.

არსებობს კიდევ ერთი ტყუილი - თითქოს სტალინმა, როგორც ქართველმა არ გაწირა თავისი თანამემამულეები და მაქსიმალურად ცდილობდა ცხოვრება შეემსუბუქნებინა მათთვის. თითქოს მეორე მსოფლიო ომშიც კი არ გაიწვია ისინი. სინამდვილეში ამ ომში სამასი ათასი ქართველი დაიღუპა, მოსახლეობის ათი პროცენტი. ეს პროპორციულად ყველაზე მაღალი მაჩვენებელია საბჭოთა ქვეყნებში. ყველაზე მკაცრი ხელი კი სტალინისგან რეალურად საქართველოს ხვდებოდა.

იყო კიდევ უამრავი სიკვდილი, დახვრეტა, გადასახლება, სიღარიბე, მონობა, სანამ ბოლოს და ბოლოს საბჭოთა რეჟიმი დასასრულს არ მიუახლოვდა. მაშინ კი

დაასკვნეს, რომ თურმე სტალინისა და ბერიას ბრალი ყოფილა ყველაფერი და რომ არა ქართველების აგრესიული კავკასიური ხასიათი ამდენი ტერორი და დახვრეტები საბჭოთა სოციალისტურ ქვეყნებში არ მოხდებოდა. ქართველების ბრალიაო ყველაფერი. ყველა ერმა შეძლო გამხდარიყვნენ ნამდვილი მოძმე კომუნისტები და მხოლოდ საქართველოში არ მოისპო კორუფცია და კრიმინალიო. შოვინისტები და ნაციონალისტებიც არიან და სხვა ერებს და ეთნოსებს ვერ იტანენო, - წერდა და ლაპარაკობდა პრესა და ტელევიზია. სინამდვილეში რუსეთის მმართველი ელიტისთვის შემზარავი კატასტროფა იყო საბჭოთა კავშირის დაშლა. ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება კი სახეში სილის გარტმის ტოლფასი. ამიტომ იმპერია ვერაფრით დაუშვებდა, რომ ამ პროცესებს საზეიმო ხასიათი მისცემოდა და მთელ მსოფლიოს დაენახა ერების ზეიმი.

პერესტროიკიდან მოყოლებული კი საქართველოში მატულობდა იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც ხმამაღლა საუბრობდა დამოუკიდებლობაზე. ცენტრალური მმართველობიდან ყურადღება შესუსტდა და შიშიც შედარებით გაქრა. ჩერნობილის ტრაგედიამ, ფინანსურმა კრიზისმა და პერესტროიკის არამყარმა პოლიტიკამ მოსკოვი საგონებელში ჩააგდო და ადგილობრივი კომპარტიებისთვის სათანადოდ ვეღარ იცლიდნენ. კავკასიაში სიტუაცია აირია. გახშირდა ძარცვის და ქურდობის შემთხვევები. სხვადასხვა ეთნიკურმა ჯგუფებმა მცირე ბანდები შექმნეს და უშიშრად ძარცვავდნენ და აწიოკებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. პოლიცია მათ თითქოს ხელს არ უშლიდა.

ამავე დროს, როცა საქართველო დამოუკიდებლობას ითხოვდა, ეთნიკური აფხაზების ნაწილმა გააპროტესტა მიმდინარე მოვლენები და რუსეთის პროტექტორატში დარჩენა მოითხოვა. აფხაზეთში მაშინ ნახევარი მილიონი მოსახლე იყო, აქედან 85% ეთნიკური ქართველები და 15% აფხაზები. სიტუაცია იქაც აირია. დაიწყო თავდასხმები რკინიგზაზე და საჯარო დაწესებულებებზე. თბილისში ამ ყველაფერს დიდი პროტესტი მოჰყვა. დაიწყო აქციები დამოუკიდებლობის მოთხოვნით. მომიტინგეები აფხაზებს და მთელ მოსახლეობას საუკუნეების ძმობას და თანაცხოვრებას ახსენებდნენ და მშვიდობისკენ მოუწოდებდნენ. ხალხის რაოდენობა ძალიან სწრაფად იზრდებოდა. ახლა კი მოსკოვი შეშფოთდა. 1989 წლის 5 აპრილს ქალაქის მთავარ გამზირზე ათეულობით ათასი მოქალაქე შეიკრიბა. მოსკოვიდან სსრკ-ს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გამოემგზავრა ადგილობრივ მთავრობასთან შესახვედრად. გაიცა ბრძანება სხვადასხვა სამხედრო დანაყოფების

თბილისში ჩამოსვლის და აქციის დაშლის შესახებ. პროპაგანდისტული პრესა ჩვეულ სტილში თხზავდა ტყუილებს, რომ აქციაზე ამორალური ხალხი იდგა და ბავშვებსა და მოხუცებს სცემდნენ. 1989 წლის 9 აპრილს რუსულმა ჯარმა იარაღით და ტანკებით გადაუარა რუსთაველის გამზირს. 21 ადამიანი მოკლეს და უამრავი დაასახიჩრეს. სასანგრე ბარებით დახოცეს 16 და 22 წლის გოგოები. ბევრი მცდელობის მიუხედავად აქციის ვერცერთ მონაწილეს ჯიბის დანაც კი ვერ უპოვეს. ამ დღეს ყველა ქვეყანა მოიხსენიებს როგორც 9 აპრილის ტრაგედიას. მხოლოდ რუსეთში ჰქვია მას Тбилисские события.

მდგომარეობა კიდევ უფრო იძაბებოდა. 1991 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რასაც აფხაზი სეპარატისტების გაღიზიანება მოჰყვა. ქართული ჯარის ნაწილები აფხაზეთში ჩავიდნენ სიტუაციის გასაკონტროლებლად. მიუხედავად სამოქალაქო დაპირისპირებისა და მთლიანად რეგიონის დესტაბილიზაციისა 30 000 ადამიანს არ უნდა გასჭირვებოდა სამი-ოთხი ათასი სეპარატისტის განეიტრალება, რომელთაც არც ტექნიკა ყავდათ და მწირ იარაღსაც ძლივს ითვლიდნენ. მაგრამ აფხაზებმა მოულოდნელად ცეცხლი გახსნეს და უცებ საქართველოს ტერიტორიაზე გაჩნდა რუსული ნაწილები და ტექნიკა; ჩეჩენი, სომეხი, კაზაკი და სხვა ეთნიკური ჯგუფების უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებები. ომი დაიწყო. ყველაფერი უკონტროლო გახდა. მოსახლეობას ქუჩაში აყაჩაღებდნენ, ძარცვავდნენ, კლავდნენ. 300 000-მა ადამიანმა დატოვა სახლ-კარი და თითო ხელი ტანსაცმლის ამარა გამოიქცენენ ფეხით. ელცინმა თითქოს დაითანხმა არძინბა ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე და დოკუმენტზე ხელიც მოაწერინა, თუმცა ამას შედეგი არ გამოუღია. ათი ათასზე მეტი ქართველი დაიღუპა. ომი წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა. აფხაზეთი დაიცალა და დარჩა გაპარტახებული გზები და დანგრეული შენობები 100 000მდე მოსახლით. ამ ომით ვერც რუსეთმა იხეირა და ვერც აფხაზებმა. აფხაზეთი დღემდე ღარიბი და დანგრეულია და თქვენი ბიუჯეტის იმედად ცოცხლობს, არცერთი ცივილიზებული ქვეყანა მას არ აღიარებს და ეს მდგომარეობა მხოლოდ რუსეთის სახელს აზიანებს მსოფლიოში. მუდმივად დაძაბული ვითარება კი მთლიანად რეგიონის გამდიდრებას და მშვიდობას უშლის ხელს.

ასე მოიქცა რუსეთი ე.წ. სამხრეთ ოსეთთანაც. სამაჩაბლო, რომელსაც საბჭოთა დროს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსი მიანიჭეს და საქართველოს შემადგენლობაში უცვლელად რჩებოდა, ოსი სეპარატისტების წაქეზებას შეეწირა მსხვერპლად. გორბაჩოვის მუქარა, რომ საქართველო საბჭოთა კავშირიდან გასვლის

შემთხვევაში აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის გარეშე დარჩებოდა, რუსეთმა დაუზოგავად შეასრულა. ელცინმა მაშინაც გააფორმა დოკუმენტი, სადაც ადასტურებდა, რომ ავტონომიური ოლქი გაუქმებულია და საბჭოთა ჯარები უნდა გავიდნენ ტერიტორიიდან, თუმცა როგორც გითხარით იმპერიულ თამაშებში ფუცლები ფურცლების როლს ასრულებს. რუსული ჯარი საქართველოდან არასოდეს გასულა და მეტიც, ყოველდღიურად უახლოვდება თბილისს.

2003 წელს საქართველოში ვარდების რევოლუცია მოხდა და ქვეყანამ სხვა რეალობაში გაიღვიძა. ახალმა ხელისუფლებამ მჭიდრო თანამშრომლობა დაიწყო როგორც ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებთან. მძარცველ ჩინოვნიკებს მოპარული მილიონები ჩამოართვეს, ქვეყნის ბიუჯეტი გაათმაგდა, კორუფცია გაქრა, ქვეყნის ეკონომიკის ზრდამ ორნიშა რიცხვს მიაღწია. საქართველოს მთავარი გეგმა სრულფასოვან ევრპულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება იყო. ქართული რეფორმების მაგალითი აიღო რამდენიმე ევროპულმა სახელმწიფომ. ნატოს წევრი ქვეყნები აქტიურად განიხილავდნენ ჩვენი წევრობის საკითხს. ეს მოვლენა თავისუფლების და გამდიდრების მუდმივი გარანტი იქნებოდა. საქართველოსთვის MAP-ის მინიჭების დღე ახლოვდებოდა. რუსეთისთვის ნატოს წევრი საქართველო ისეთივე დაკარგულია, როგორც ბალტიის ქვეყნები. ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ დერეფანს იმპერია არაფრის დიდებით არ დათმობს. პუტინი ევროპას დაემუქრა და უთხრა - თავი შეეკავებინათ მსგავსი ნაბიჯებისგან. გერმანია პუტინს დანებდა. 2008 წლის დასაწყისში, ბუქარესტის სამიტზე საქართველოს და უკრაინას არ მისცეს MAP-ი, მაგრამ შეთანხმდნენ, რომ ორივე ქვეყანა აუცილებლად გახდებოდა ნატოს წევრი. საქართველოს დასასჯელად ეს საკმარისი იყო.

შედეგი ძალაინ მალე დადგა. ე.წ. სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან სროლა და პროვოკაციები დაიწყო. რუსეთმა მოსახლეობის ნაწილი ჩრდილოეთში გაიყვანა და როკის გვირაბთან ხუთი საომარი ბატალიონი გადმოისროლა. ცეცხლი რამდენიმე დღე არ შეწყვეტილა. მთავრობა იძულებული გახდა ქართული ჯარი ცხინვალისკენ გაეგზავნა. საბჭოთა იმპერიის კიდევ ერთი თავისებურება ისაა, რომ ასოთხმოცი გრადუსით საპირისპიროს მტკიცებას მოჰყვეს, რაოდენ სასაცილოდაც არ უნდა ჟღერდეს ეს. კარგად ესმით, - რაც უფრო აბსურდულია ბრალდება, მით უფრო რთულია კამათი. პუტინმა, რომელიც ოლიმპიადას ესწრებოდა და ისე იქცეოდა თითქოს მის გარეშე ხდებოდა ყველაფერი, პეკინიდან განაცხადა, რომ საქართველომ აგრესიული ქმედებები დაიწყო და რუსეთი

ამას აუცილებლად უპასუხებდა. ეს დაახლოებით ასე ჟღერს: ლუქსემბურგი თავს დაესხა ჩინეთს.

ნებისმიერ დროში, ნებისმიერი ომის დაუწერელი კანონია, რომ მშვიდობიან მოსახლეობას არ კლავ. ომობენ ჯარები, იბომბება სამხედრო ბაზები, სტრატეგიული ადგილები, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ქალაქები და სოფლები. რუსეთისთვის ეს წესიც არასდროს მოქმედებდა. მთელმა მსოფლიომ თავისი თვალით ნახა როგორ გადაუფრინეს რუსულმა თვითმფრინავებმა ქალაქ გორს და პირდაპირ კორპუსებზე ჩამოყარეს ჭურვები. ერთი თვის წინ სი-ენ-ენმაც გააშუქა სირიაში რუსული ძალების მიერ ჰოსპიტალების დაბომბვის ფაქტი.

საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევით ომი აგვისტოშივე დასრულდა. რუსი სამხედროები ცხინვალიდან არ წასულან. ათი ათასობით ქართველს კვლავ მოუწია საკუთარი სახლ-კარის დატოვება და სხვაგან გადასახლება. ეს არ არის მხოლოდ საქართველოს ბედი. ეს ხდება უკრაინაშიც, მომხდარა სხვაგანაც. არც ჩეჩნეთი გაუშვა პუტინმა ხელიდან. პატარა ბავშვების სიცოცხლემაც კი ვერ გადაწონა იმპერიის „ზე-მიზნები“.

გაგიგიათ „მცოცავი ოკუპაციის“ შესახებ? ეს არის მოვლენა, როდესაც შენი ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი უცხო ჯარი ყოველდღიურად ათ-ათი, ოც-ოცი მეტრით მოდის წინ, თან მავთულხლართებს ავლებს და გეუბნება - ახლა აქაა საზღვარიო. იქ მცხოვრები გლეხები იძინებენ, იღვიძებენ და ერთ დღესაც აღმოაჩენენ, რომ მავთუხლართები მათ სახლს გასცდა და ახლა ისინი ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცხოვრობენ, რუსი ჯარისკაცები კი ეუბნებიან - იქით გადასვლა არ შეიძლება, ახალი საზღვარიაო. ეს გრძელდება მუდმივად. ეს ხდება ახლაც, ამ წუთებშიც, როცა ჩვენ აქ ვართ.

ამ ყველაფრის მიუხედავად ჩვენ ვინარჩუნებთ თავისუფლებას და მუდმივად ვაფართოვებთ მას. ნებისმიერ ჩინოვნიკს, რომელიც ადამიანების ღირსებას ეხება, დაუყოვნებლივ ვუშვებთ ისტორიის სანაგვეზე. ჩვენს ქვეყანაში ჰომოფობია და ქსენოფობია სირცხვილად ითვლება, პრეზიდენტს ან ნებისმიერ პოლიტიკოსს რამდენსაც გვინდა იმდენს ვაგინებთ როცა ის ამორალურად მოიქცევა. თუ პოლიცია მშვიდობიან აქციაზე ძალადობს, მათაც სანაგვეზე ვისტუმრებთ. მარიხუანას მოწევისთვის ციხეში აღარ ვსვამთ ადამიანებს და ქრთამს აღარ ვიხდით

თავისუფლების ძიებაში. თქვენთან ეს ყველაფერი არ მოსულა. ჩვენ ამისთვის ბევრი ვიშრომეთ. ამიტომ არ გვინდა მონობა.

გვინდა იცოდეთ, რომ ნამდვილი საქართველო იმ ხალხის საქართველოა, ვისაც მონობაში ცხოვრება არ შეუძლია. ვისთვისაც ნებისმიერი ადამიანი ყველა სხვა ადამიანის თანასწორია. ვინც გულწრფელ და პირად მეგობრობას ვადაგასული ადამიანების გეოპოლიტკურ თამაშებზე მაღლა აყენებს. თუ თქვენც გიყვართ თავისუფლება, მაშინ გეპატიჟებით საქართველოში დაუვიწყარი თავგადასავლების საძიებლად. ხოლო მათაც, ვინც თავისუფლებას საბჭოთა ნოსტალგიას ამჯობინებს, ძველი ქალაქის იაფფასიან რესტორნებთან მდგარი ქალები დაუზარებლად მიაძახებენ: заходите к нам, у нас есть хороший хачапури, хинкали, вино..